პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 17 ოქტომბერი, 1942 წ. № 247 (6563). ფასი 15 კაპ.

გადაჭრით გავაძლიეროთ მზრალად ხვნის ტემპები

საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღებულია სიმინდის, ტექნიკური კულტურების, კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლის აღება, პურეულის გალეწვა. ამავე დროს საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები მტკიცე საფუძველს უყრიან 1943 წლის მაღალ მოსავალს. სწარმოებს საშემოდგომო ...

... პირობებს მოსავლიანობის შემცირებისათვის, რაც შეუწყნარებელია. მაგალითად, გორის რაიონის ახალსოფლის მტს-ის მეხუთე ბრიგადამ (ბრიგადირი ყ. ბრეგვაძე) სოფ. სვენეთის კოლმეურნეობაში მზრალად 10-12 სანტიმეტრის სიღრმეზე მოხნა. სოფ. ოთარშენის კოლმეურნეობაში მზრალი არადაწესებულ სიღრმეზე მოხნეს. ...

სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებული არიან:

წითელი დროშის ორდენით:

1. წითელარმიელი ივანე ნიკოლოზის-ძე **ბურდულაძე**
2. სერჟანტი კირილე ისიდორეს-ძე **ნიკურაძე**
3. წითელარმიელი პეტრე ერასტის-ძე **ფერაძე**
4. ლეიტენანტი ვასილი ვლასის-ძე **რუსაძე**

წითელი ვარსკვლავის ორდენით:

1. პლატონ ბენიამინეს-ძე **სარიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ქუთაისი („კომუნისტის" საკ. კორ.). 14 ოქტომბერს ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა პირველ საკითხად განიხილა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. გ. ნარსიას მოხსენება ქალაქ ქუთაისში სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

ამხ. ნარსიამ დაწვრილებით ილაპარაკა თავდაცვითი მუშაობის გასაძლიერებლად ქალაქ ქუთაისში გაწეულ მუშაობაზე. დღითიდღე უმჯობესდება სამხედრო - თავდაცვითი მუშაობა, რომელსაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ. მუშები და მოსამსახურეები, მასწავლებლები და მოსწავლეები ზურგში თავდადებულ შრომასთან ერთად წარმატებით ეუფლებიან სამხედრო ხელოვნებას. ისინი მოთმინებით სწავლობენ შაშხანას, ავტომატს, ტყვიამფრქვევს, გრანატს, ამზადებენ თავშესაფრებს, მკაცრად იცავენ შუქშენიღბვის წესს. ამხ. ნარსია შეჩერდა სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის ნაკლოვანებებზე, მიუთითა ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორების საშუალებებზე.

მეორე საკითხად პლენუმმა განიხილა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგის ამხ. გ. ავალიანის მოხსენება პლენუმიდან პლენუმამდე საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების შედეგების შესახებ.

ამხ. გ. ნარსიას და გ. ავალიანის მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდნენ თავდაცვაავიაქიმის ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. წურწუმია, რკინიგზის ქუთაისის კვანძის პარტბიუროს მდივანი ამხ. სახელაშვილი, მიქოიანის სახელობის ქუთაისის საკონსერვო ქარხნის დირექტორი ამხ. ძიმისტარიშვილი, ქუთაისის მაუდის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი ამხ. ნიკიფი, ვ. მ. ბაქრაძის სახელობის ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის პარტბიუროს მდივანი ამხ. იოსელიანი, ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი ამხ. მაჭარაძე, ქალაქ ქუთაისის მილიციის სამმართველოს უფროსი ამხ. მამალაძე, მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ლომიძე, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორი ამხ. დმიტრიევი და სხვ.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობის შემსრულებლად აირჩია ამხ. ნ. სტურუა.

ს. ყურაშვილი

საოქტომბრო საჩუქრები წითელი არმიის მებრძოლებს პიონერებისა და მოსწავლეებისაგან

საქართველოს პიონერები და მოსწავლეები ამზადებენ საოქტომბრო საჩუქრებს წითელი არმიის მებრძოლებისათვის. ისინი ჰკერავენ ცხვირსახოცებსა და ქისებს თამბაქოსათვის. განზრახულია საქართველოში შეგროვდეს 100 ათასი ქისა და 100 ათასი ცხვირსახოცი. ქისებისა და ცხვირსახოცების შეგროვება უკვე დაიწყო. პატარა პიონერები ლამაზად მოქარგულ ქისებში აწყობენ ცხვირსახოცებს, საწერ ქაღალდს, თამბაქოს შესახვევ ქაღალდს და გულთბილ წერილებს მ...

„ძვირფასო წითელარმიელო! მხურვალე სალამთან ერთად მიიღეთ ჩემგან საჩუქრად ქისა თამბაქოსათვის და ცხვირსახოცი. მე ათი წლის ვარ, ვსწავლობ თბილისის ბერიას სახელობის 94-ე სკოლის მესამე კლასში. ვარ ფრიადოსანი. 7 ნოემბერს პიონერთა რიგებში მიმიღებენ და კიდევ უკეთესად ვისწავლი და ვიმუშავებ. თქვენ კი, ძვირფასო მებრძოლო, ჩქარა გაანადგურეთ ფაშისტები. როდესაც ომი დამთავრდება, ჩამოდით ჩვენთან და გვიამბეთ, როგორ იბრძოდით ჩვენს ...

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

16 ოქტომბრის დილის ცნობა

15 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში და **მოზდოკის** რაიონში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

სტალინგრადის რაიონში გაფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა. ნ ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის ხუთი იერიში, დასწვეს 6 ტანკი და გაჟლიტეს გერმანელთა ერთ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა მტრის ...

... და 3 რკინიგზის ეშელონი. დაიმსხვრა 3 ორთქლმავალი და 68 ვაგონი. მოსპობილია მტრის დიდძალი ცოცხალი ძალა და ტექნიკა.

• • •

გერმანელთა 371-ე ქვეითი დივიზიის 670-ე პოლკის ტყვე ჯარისკაცებმა მიხელ ვენზელმა და ვილჰელმ ტაკმა განაცხადეს: „მარშის დროს ჯარისკაცები მხნედ იყვნენ. ბევრს ეგონა, რომ ახლა რუსები წინანდელივით შეუპოვარ წინააღმდეგობას აღარ გასწევდნენ. მაგრამ, როდესაც ფრონტზე მივედით სტალინ...

... სნაიპერების ცეცხლით გაჟლეტილია მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ქვედანაყოფებმა ამხ. ვასილიევის მეთაურობით გერმანელთა ქვეითი ჯარის იერიში მოიგერიეს. ჰიტლერელებმა, რომელთაც თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეხ...

... მანიაში გასაგზავნად. კოლმეურნე ქალები ევდოკია პეტროვა, ანა სორინა და ვერა კოლიშკინა შეეცადნენ შეუმჩნევლად წასულიყვნენ სოფლიდან, რათა თავი დაეღწიათ ფაშისტური მონობისათვის. ჰიტლერელმა ბრამზადებმა ქალიშვილები შეიპყრეს სოფლის განაპირას, სოფელში დააბრუნეს და ჩამოახრჩეს".

16 ოქტომბრის საღამოს ცნობა

თავდაცვის სახალხო კომისარიატში

გერმანელ დამპყრობლებთან სამშობლოსათვის ბრძოლებში გამოჩენილ მამაცობის, მედგრობის, გულადობის, დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის, პირადი შემადგენლობის გმირობისათვის ლენინის ორდენოსანი 70-ე მსროლელი დივიზია გარდაქმნილია ლენინის ორდენოსან გვარდიის 45-ე მსროლელ დივიზიად.

დივიზიის მეთაურია საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი ანატოლი ანდრიას-ძე კრასნოვი.

გარდაქმნილ დივიზიას ეძლევა გვარდიის დროშა.

ბრძოლები სტალინგრადისათვის

მოქმედი არმია, 16 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის რაიონში გაფთრებული ბრძოლებია. გერმანელებმა, თავი მოუყარეს რა ქვეითს ჯარსა და ტექნიკას, განაახლეს იერიშები საქარხნო რაიონის ტერიტორიაზე. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ, რომლის მსვლელობაშიც მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა, ჩვენმა ნაწილებმა დასტოვეს ერთ-ერთი საქარხნო დაბა. სხვა უბანზე ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილია ასამდე ფაშისტი, რამდენიმე ტანკი, 8 დაზგიანი ტყვიამფრქვევი, 11 ძელმიწური. სტალინგრადის სამხრეთით ერთი მაღლობისათვის ბრძოლაში ჩვენმა ჯარებმა გაჟლიტეს ჰიტლერელთა ერთი ასეული.

მოწინააღმდეგემ ავიაციის მნიშვნელოვანი რაოდენობა ჩააბა ბრძოლაში. მტრის თვითმფრინავების დიდი ჯგუფები განუწყვეტლივ ბომბავდნენ ჩვენს პოზიციებს. გაფთრებული დაბომბვის შემდეგ გერმანელები სტალინგრადის ჩრდილოეთ-დასავლეთ განაპირა უბანში იერიშზე გადმოვიდნენ, ამასთან ჩვენი თავდაცვის ხაზს 2 პოლკი ქვეითი ჯარი და 70 ტანკი მოაყარეს. ჩვენები მტერს ძლიერი საარტილერიო და სატყვიამფრქვევო ცეცხლით შეხვდნენ. საბჭოთა მებრძოლნი მტკიცედ იგერიებენ ფაშისტთა იერიშებს და დიდ ზარალს აყენებენ მათ.

რუმინელი ჯარისკაცი ილიე ვრაბიე სწერს თავის მამას:

„მას შემდეგ, რაც უკანასკნელი იერიშის დროს ვნახე, შინ დაბრუნების იმედი დავკარგე. აქ, სტალინგრადთან, უმაგალითო ბრძოლები ხდება. მეხუთე პოლკი ოთხჯერ იყო საიერიშოდ და უდიდესი ზარალი ნახა. მოკლულ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს ისე ჰყრიდნენ საზიდრებზე, როგორც ჩვენ შეშას ვყრიდით ხოლმე".

საოქტომბრო საჩუქრები გმირ წითელ არმიას

ყაზბეგი („კომუნისტის" სპეც. კორ.). რაიონის მშრომელები გმირი წითელი არმიისათვის დიდი რაოდენობით ამზადებენ მატყლის წინდებს, ხელთათმანებს, თბილ ქუდებს, ყელსახვევს, ერბოს და სხვ.

კობის, ყაზბეგის და გიმარას კოლმეურნეობებმა წინდებისა და ხელთათმანების მოსაქსოვად გამოყვეს ას-ასი კილოგრამი მატყლი, სულ კი რაიონის კოლმეურნეობებმა საჩუქრების დასამზადებლად გაიღეს 3 ტონამდე მატყლი, 250 ცალი ცხვრის ტყავი, 40.000 მანეთი ფულად და სხვ. მარტო სოფ. ყანობის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, გარდა ნივთებისა, ამანათების მოსამზადებლად გაიღეს 2.049 მანეთი, ყაზბეგის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა — 2.350 მან., სოფ. გიმარას კოლმეურნეობა „წითელი პარტიზანის" წევრებმა—3.326 მანეთი.

რაიონის მშრომელთაგან წითელი არმიის გმირი მებრძოლებისათვის გასაგზავნად ამ დღეებში უკვე მზად იქნება 30 ამანათი. ნივთებისა და ფულის შეგროვება გრძელდება.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

თავდადებული შრომით დავეხმაროთ გმირ წითელ არმიას

დაუღალავი შრომით ეხმარებიან ფრონტს

დუშეთის რაიონის კოლმეურნეები დიდი სამამულო ომის დღეებში დაუღალავად მუშაობენ, რათა წარმატებით შეასრულონ ბელადი **სტალინის** მითითება, ყოველდღიური მზარდი დახმარება გაუწიონ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა საბოლოო განადგურების საქმეში. ...

მამო ცილიკიშვილი, ზოტიკიანთკარის კოლმეურნეობის ბრიგადირი შაქრო ბალაშვილი და მრავალი სხვა მოსავლის აღების დღიურ ნორმებს სისტემატურად 200 პროცენტით ასრულებენ.

...

6.881 ჰექტარზე აიღეს. კოლმეურნეობებში საკმარისი რაოდენობით არის მომარაგებული ბზეც. წარმატებით სრულდება სილოსის დამზადების გეგმები და სხვ.

კოლმეურნეებმა უკვე დაამთავრეს თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. კოლმეურნეობათა ნახევარს მოსავალი გალეწილი აქვს. ნათესის თითქმის ნახევარზე აღებულია სიმინდიც. ციხისძირის კოლმეურნეობის წევრი გ. გულაშვილი, თანძილაანთკარის კოლმეურნეობის წევრები კოტე ინაშვილი და ...

... ბები, წარმატებით დავამთავროთ სასოფლო-სამეურნეო წელი, საუკეთესოდ მოვაწყოთ საქონლის გამოზამთრება, გულმოდგინედ დავიცვათ ნარგავ-ნათესები, საკოლმეურნეო მოსავალი და გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე.

ფრონტისათვის კიდევ უფრო მზარდი დახმარების გაწევა დუშეთის რაიონის მშრომელთა პატრიოტული ვალია.

შ. მაისურაძე

საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანი.

გეგმების შესრულება

ქუთაისის რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა ვადამდე 100,2 პროცენტით შეასრულა. 15 ოქტომბრისათვის დამზადდა და სახელმწიფოს ჩაბარდა 122.003 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 121.750 კილოგრამისა. პარკის დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის მდივანი **გაბრიაძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **მაღლაფერიძე**

• • •

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში ხულოელი კოლმეურნეები ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევენ ფრონტისადმი დახმარების გაძლიერების საქმეში. 15 ოქტომბრისათვის რაიონის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს თამბაქოს შეტეხის წლიური გეგმა. შეტეხილი და ანემსილია 2.824.177 ზონარმეტრი თამბაქო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.800.000 ზონარმეტრისა. გაცხოველებით მიმდინარეობს თამბაქოს ჩაბარება. კოლმეურნეებმა იკისრეს თამბაქოს სავალდებულო ჩაბარების წლიური გეგმა ვადამდე ორი თვით ადრე შეასრულონ.

საქ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის მდივანი **ტანუყვაძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **მამულაძე**

გამოხმაურება ინგლისში საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე

ჰიტლერელ დამპყრობთა და მათ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის შესახებ იმ ბოროტმოქმედებათათვის, რომელთაც ისინი ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში სჩადიან

ლონდონი, 16 ოქტომბერი (საკდესი). საბჭოთა მთავრობის განცხადებამ ჰიტლერელ დამპყრობთა და მათ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის შესახებ იმ ბოროტმოქმედებათათვის, რომელთაც ისინი ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში სჩადიან, დიდი ინტერესი გამოიწვია ლონდონში. ყველა გაზეთი განცხადების დაწვრილებით ამონაწერებს აქვეყნებს. განცხადების ტექსტი ლონდონის რა... რადგენენ გარკვეული მთავრობები ყველა იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან ბოროტმოქმედებათათვის, როგორც სულისჩამდგმელნი ან მათი ფაქტიური შემსრულებელნი. იმ მთავრობებს, რომლებზედაც ლაპარაკია, მიეცემათ შესაძლებლობა წარუდგინონ კომისიას მოწმეთა ყოველივე ასეთი ჩვენებანი დამნაშავე პირთა წინააღმდეგ, მათი მდგომარეობის მიუხედავად".

...

... რელ მეთაურებს, როგორიც არიან ჰიტლერი, გერინგი, გებელსი და ჰიმლერიო, ლორდთა პალატის 14 ოქტომბრის სხდომაზე განაცხადა:

„განზრახულია, რომ სამხედრო დანაშაულთა გამომძიებელი გაერთიანებულ ერთა კომისია იქნება ორგანო, რომლის ამოცანას წარმოადგენს ფაქტების დადგენა. ამის გამო კომისიის ფუნქციები ის იქნება, რომ უაგროვოს მოწმეთა ჩვენებანი, რომლებსაც წა...

... კორესპონდენტს განუცხადა, რომ, როგორც ვ. მ. მოლოტოვის განცხადება გვიჩვენებს, საბჭოთა მთავრობა სწორედ ისევე, როგორც დე გოლის მომხრენიც, ადგას ფართო შეხედულებებს ჰიტლერელთა ბოროტმოქმედებათათვის მათი დასჯის პრობლემაზე". „საბჭოთა მთავრობის განცხადება, — დასძინა დეჟანმა, — მეტად დროულია და ადასტურებს სსრ კავშირისა და ფრანგი პატრიოტების თვალსაზრისთა სიახლოვეს".

შავი ზღვის სანაპიროზე

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

„პრავდა" 14 ოქტომბერს აქვეყნებს ცნობას წითელარმიული მიტინგის შესახებ, რომელიც ამ დღეებში შესდგა ნ ნაწილში კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, და მოჰყავს მებრძოლთა და უმცროს მეთაურთა გამოსვლები.

ამ მიტინგზე მშობლიურ ენაზე წარმოსთქვეს ...

... დასაცავად. ისინი იცავდნენ საქართველოს ბედნიერებას უკრაინაში და ყუბანზე. ისინი ბრძოლაში დაიღუპნენ მამაცთა სიკვდილით. როდესაც ფრონტზე მომაცილებდა, მამამ მითხრა:

— ყური მიგდე, შალიკო! მე სამოცდაორი წლისა ვარ. მოხუცი ვარ და იარაღის ხმა...

...

ვ. კაკაბაძე

საქართველოს მამაცი შვილები სამამულო ომის ფრონტებზე

მოქმედი არმია (ჩრდილოეთ კავკასია), კაპიტან ა. კოსტენკოს ნაწილის საზენიტო ქვემეხების ქვეგანაყოფი ფრონტზე მიდის.

ფოტო ვ. ივანოვისა.

ალიო მაშაშვილი

შემოდგომა

მოდის! მთელი არემარე
შესძრა სულგანაბული,
მოდის უხვი მოსავალით,
ოფლით შუბლდანამული,
დაილოცოს მადლიანი
საქართველოს მამული!

მთიდან მოჩქეფს ნაკადული,
ძილის დამაფრთხობელი,
ჰყვება მთისას და ბარისას
გიუმაყურად მთხრობელი,
ჰირნახულის სურნელი დგას
გულის დამათრობელი.

ყანაც ადიდებულა და
უკვე გახდა სამკალი,
კელაპტრებად ანთებული
თავთავების კანკალით
ღელავს, თავზე დასტრიალებს
მთვარისპირა ნამგალი.

გადაფრინდნენ ყვავყორნები.
დაეძებენ ალოსა,
ქალვაჟები ღუღუნებენ
ისევ „თამარქალოსა",
ტანწერწეტა ძნები მოაქვთ,
თან ლეწავენ კალოსა.

ჩრდილქვეშ, რთველის მოლოდინში,
დაგდებულა გიდელი,
პირღია და უმაძღარი,
ზურგზე მოსაკიდელი,
ვაზს ყურძნები გამოუსხამს
ქარვასავით ყვითელი.

ასე მოდის შემოდგომა,
შრომის აგუგუნება,
ხეხილების დაქალება,
მიწის აბუბუნება,
დაილოცოს ხვავიანი
საქართველოს ბუნება.

მაგრამ: ქარი თუ მოვარდა
ელვით ტანდამეხილი, —
დაიღუპა მოსავალი,
დაილეწა ხეხილი,
ნაყოფს ველარ მოგვაწოდებს
წელში გადატეხილი.

შვილო! მამულს უდარაჯე,
შენი ვალი ეგ არი,
ქარი ახლოს არ მოუშვა
ჩქარი, დაუდეგარი,
მიდი, ხიშტით გადარაზე
დარიალის კლდეკარი.

მამაცი მებრძოლები მ. სტეფანია და ვ. ხინთიბიძე

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

გვარდიის წითელარმიელი მიხეილ სტეფანია გაზაფხულიდან ბრიანსკის ფრონტის მოწინავე ხაზზეა, არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში, აქვს მოსპობილ ფაშისტთა საკმაოდ დიდი პირადი ანგარიში. სარდლობის შეფასებით, იგი მამაცურად და გულადად იბრძვის.

„მე კომუნისტი ვარ, — ამბობს იგი, — ჩემი მთავარი ამოცანაა ყოველდღე ვანადგურო გერმანელი მხეცები, ვანადგურო მანამდე, სანამ მშობლიური საბჭოთა მიწა-წყალი სავსებით არ განთავისუფლდება ჰიტლერელ დამპყრობთაგან, სანამ ფაშისტები საბოლოოდ არ იქნებიან გაჟლეტილნი".

ბრიანსკის ფრონტზე ასევე მამაცურად იბრძვის წითელარმიელი ვ. ხინთიბიძე. ერთ ბრძოლაში, როდესაც ჩვენი მეტყვიამფრქვევე დაიჭრა, ხინთიბიძემ ტყვიამფრქვევთან მისი ადგილი დაიჭირა და დაუშინა მტერს, იგი იმ ადგილებს არჩევდა, სადაც გერმანელები მეტი იყვნენ. სხვა ბრძოლაში ხინთიბიძე დაეხმარა ორ დაჭრილ მებრძოლს, მიიყვანა ისინი საფრამდე და ამით სიკვდილს გადაარჩინა ისინი. ამ ბრძოლების შემდეგ ხინთიბიძე მიღებულ იქნა პარტიის წევრად.

„ახლა მე კიდევ უფრო კარგად უნდა ვიომო, — ამბობს იგი, — ფიცსა ვდებ, რომ არ დავზოგავ ჩემს ძალ-ღონეს და თვით სიცოცხლეს. ვიცი, რომ ყოველი ფაშისტის მოსპობა დახმარებაა ჩვენი საბჭოთა სამხრეთისათვის".

ვ. ყარა-მურზა

წითელარმიელ ა. გეგეჭკორის ვაჟკაცობა

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

ვოლგის ციხე-სიმაგრე სტალინგრადისათვის წარმოებული ერთ-ერთი ცხარე ბრძოლის დროს მტრის ტანკებმა ორი მხრიდან დაუწყეს შემოვლა ჩვენს ბატარეას. არტილერისტები იგერიებდნენ მტრის იერიშს, იბრძოდნენ მედგრად — უკანასკნელ ყუმბარამდე. ბატარეას რომ მიუახლოვდნენ, ფაშისტები გადმოხტნენ მანქანებიდან და ეკვეთნენ ერთ მუჭა მებრძოლებს, რომელთა შორისაც იყო წითელარმიელი ალექსანდრე გეგეჭკორი. ჩვენმა მებრძოლებმა გადაწყვიტეს ებრძოლათ უკანასკნელ შესაძლებლობამდე, ერთმანეთს შეჰფიცეს უკან არ დაეხიათ.

დაიწყო უთანასწორო ბრძოლა. ზედიზედ ეცემოდნენ ბატარიის დამცველები. ფაშისტმა ოფიცერმა რევოლვერი დაუმიზნა გეგეჭკორს, მაგრამ რევოლვერი არ გავარდა, რადგან შიგ ტყვიები გამოლეულიყო. გეგეჭკორს გული მრისხანებით აღევსო. მან გადაწყვიტა ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულიყო, მაგრამ ამ დროს კვნესა მოესმა და დაჭრილი ლეიტენანტი კაპიტონოვი დაინახა. ლეიტენანტი ორივე ფეხში იყო დაჭრილი და სისხლისაგან იცლებოდა. მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო. ფაშისტი მხეცები უკვე უახლოვდებოდნენ იმ ადგილს, სადაც ის იწვა. მაშინ გეგეჭკორი წინ გაჭანდა, კონდახით მოიგერია ახლოს მყოფი ფრიცი, აიტაცა ლეიტენანტი და გაიქცა. მის გარშემო აზუზუნდნენ ტყვიები, მაგრამ მამაცმა მებრძოლმა მშვიდობიანად გაიყვანა მეთაური საშიში ზონიდან, შემდეგ კი მაშველ ძალებთან ერთად დაბრუნდა ბრძოლის ადგილას. ფაშისტთა იერიში მოგერიებულ იქნა.

ვ. ყარა-მურზა

გზა გაწმენდილ იქნა

უკანდახევისას გერმანელებმა გზა დანაღმეს. დანაღმული უბნის მისავალი ჩახერგეს. მე მივიღე ბრძანება: გამეწმინდა გზა მტრის ნაღმებისაგან, ამეყარა ხერგილი და უზრუნველმეყო ტანკების წინსვლა.

გამოვჩნდით თუ არა დანაღმულ უბანთან, ჩვენს მახლობლად იწყეს ვარდნა ნაღმებმა, აზუზუნდნენ ტყვიები. ჰიტლერელებს ეს ადგილი წინასწარვე ჰქონდათ მიზანში ამოღებული, მათი მეავტომატეები სადღაც ახლოს ისხდნენ.

— თუნდაც რომ დაგვხოცონ, გზა მაინც უნდა გავწმინდოთ, — ვუთხარი წითელარმიელებს. — ბრძანება უნდა შევასრულოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს. ამას ჩვენგან გვარდიული ფიცი მოითხოვს.

ჩემი სიტყვები წითელარმიელებმა საბრძოლო მოწოდებად მიიღეს.

— შევასრულებთ, ამხანაგო გვარდიის უფროსო ტექნიკოს-ლეიტენანტო, — მიპასუხა გვარდიის სერჟანტმა ამხ. ეფიმოვმა.

მებრძოლები სწრაფად და გაბედულად მუშაობდნენ. გაუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ მათ ამოიღეს მტრის ნაღმები, აჰყარეს ხერგილი. დავალების შესრულებისას თავი გამოიჩინეს გვარდიის სერჟანტებმა გავრიკოვმა და ეფიმოვმა, გვარდიის წითელარმიელმა ადმირალოვმა.

გზა საბრძოლო ბრძანებაში აღნიშნულ ვადაზე ადრე იქნა გაწმენდილი. ტანკები დაიძრნენ და წინ გასწიეს.

გვარდიის უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი ლ. ჯავახიშვილი



ორდენოსანი კაპიტანი ვ. ჭუმბურიძე

გაზეთ „პრავდის" 1942 წლის 19 აპრილის ნომერში „პრავდის" სპეციალური სამხედრო კორესპონდენტი ვლ. სტავსკი წერილში „პარაშუტისტები მტრის ზურგში" მოგვითხრობს:

„ღრმა ზურგში მტერს ერთი წუთითაც მოსვენება არა აქვს. გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები ყოველღამე თრთიან თავიანთ შტაბებში, რადგან მოელიან, რომ სადაც არის კარებსა და ფანჯრებს დაცხრილავენ ავტომატების მმუსრავი ჯერები, იგრიალებენ საბჭოთა გრანატები. გერმანელ ჯარისკაცებს შიშით ვერ გაუბედნიათ მარტო და მცირე ჯგუფებად მოძრაობა საკუთარ ზურგში.

საბჭოთა პარაშუტისტები უმაგალითო გმირობას იჩენენ.

ისინი თავგანწირული ბრძოლით ათავისუფლებენ ოკუპანტებისაგან მნიშვნელოვან პუნქტებს და მტკიცედ ინარჩუნებენ დაკავებულ ადგილებს. ერთ-ერთ ბრძოლაში კაპიტან ჭუმბურიძის ქვეგანაყოფმა ისარგებლა ღამის სიბნელით და ფარულად მიადგა გერმანელთა თავდაცვის წინა კიდეს ძლიერ გამაგრებულ პუნქტ №-თან.

იერიში მოულოდნელი და მედგარი იყო. კაპიტანი ჭუმბურიძე და უფროსი პოლიტხელი კრეპინი მებრძოლებს ხელჩართულ ბრძოლაში გაუძღვნენ. თავზარდაცემული გერმანელები გაიქცნენ. ბრძოლის დროს ჭუმბურიძე და კრეპინი მოკლულ იქნენ. მეთაურობა იკისრა პარტორგმა უფროსმა სერჟანტმა ევსტიგნეევმა. ბრძოლაში ჩვენი სხვა ქვეგანაყოფებიც ჩაებნენ. სოფელი № აღებულ იქნა, გერმანელებმა უკან დაიხიეს.

ჩვენი გმირები დაუყოვნებლივ გამაგრდნენ ამ დასახლებულ პუნქტში. მათ შექმნეს სიმაგრეები, ცეცხლის ირგვლივი მრავალფენიანი სისტემა. ორი დღის შემდეგ გერმანელებმა №-ის წინააღმდეგ გამოგზავნეს ახალი ძალები ტანკებიანად. ამავე დროს ზემოდან ჩვენს გმირებს ბომბებს აყრიდნენ მტრის თვითმფრინავები.

ფაშისტთა ყველა იერიში მოგერიებულ იქნა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენი პარაშუტისტები უშიშრად და უნარიანად, სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდნენ".

ასე შესწირა სიცოცხლე სამშობლოს კაპიტანმა ვლას ონისიმეს-ძე ჭუმბურიძემ. იგი გმირის სიკვდილით დაიღუპა. გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის კაპიტანი ვლას ონისიმეს-ძე ჭუმბურიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ვ. ო. ჭუმბურიძე დაიბადა 1915 წელს სოფ. ქვედა საზანოში (ზესტაფონის რ.), დაწყებითი განათლება მიიღო სოფ. სასაბლის უბანში. შემდეგ სწავლობდა საზანოში, ხოლო საშუალო სასწავლებელი დაამთავრა ქ. ქუთაისში. აქვე მუშაობდა რიონჰესის მშენებლობაზე. 1933 წელს, 18 წლის ვლასი თავისი სურვილით შედის თბილისის სამხედრო სასწავლებელში. შემდეგ მას გზავნიან სვერდლოვსკში. სამამულო ომმა ამხ. ვლასს ლატვიაში მოუსწრო. იგი ომის პირველი დღეებიდანვე თავგანწირულად იბრძოდა ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ. არა ერთი და ორი გერმანელი გამოასალმა სიცოცხლეს.

კაპიტანი ვ. ჭუმბურიძე გმირის სიკვდილით დაიღუპა. მისი გმირული ბრძოლების მაგალითი სამშობლოს დაცვისა და შურისგებისაკენ მოგვიწოდებს. ამხ. ვლასის სამი ძმა ფრონტზეა. მათ ერთმანეთს შეჰფიცეს შური იძიონ საბჭოთა მეთაურისა და ღვიძლი ძმისათვის. ამ ფიცს ყველა საბჭოთა მეომარი შეასრულებს.

ვ. ჭიოკაძე

ორდენოსანი კაპიტანი ე. ყანჩაველი

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის კაპიტანი ერმალოზ გრიგოლის-ძე ყანჩაველი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ამხ. ე. გ. ყანჩაველი დაიბადა 1912 წელს სოფ. ალავერდში (ზესტაფონის რაიონი). დაწყებითი განათლება სოფელში მიიღო. ერთხანს მუშაობდა მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკაში. ამხ. ე. ყანჩაველმა სრულიად ახალგაზრდამ დაამთავრა სამხედრო აკადემია. სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე იგი ფრონტზეა და დაუზოგავად მუსრავს გერმანელ ვანდალებს. სამშობლოს გმირულად იცავს აგრეთვე ამხ. ყანჩაველის ხუთი ძმა.

ერთ-ერთი წითელარმიული გაზეთი მოწინავე წერილში მოგვითხრობს, თუ როგორ იწრთობიან და კაჟდებიან იმ ნაწილის მებრძოლები, რომელთა მეთაურიც ამხ. ყანჩაველია. ისინი დღედაღამ მოსვენებას არ აძლევენ მტერს.

საინტერესოა ერთი ეპიზოდი. ამხ. ყანჩაველის განაყოფმა უეცარი და კარგად მომზადებული იერიშით ერთი დასახლებული პუნქტი გაათავისუფლა. ფაშისტ ბარბაროსებს ყველაფერი გადაებუგათ და მხოლოდ ნასახლარიღა დარჩენილიყო. ამხ. ყანჩაველმა ბრძოლის ველზე იპოვნა პატარა ბავშვი, რომლის დედაც ფაშისტებს წამებით მოეკლათ. მეთაურმა ბავშვი სამშვიდობო ადგილზე გადმოიყვანა და, როგორც თვითონ იწერება, თავის სახელზე ზრდის. ამხ. ყანჩაველს ბავშვთან სურათიც კი გადაუღია და ოჯახში გამოუგზავნია.

ინტერესს მოკლებული არ არის ამხ. ყანჩაველის პირადი წერილებიც. იგი დედას და მეუღლეს სწერს: „მხურვალე სალამი დედიკოს და ქეთოს! იცოცხლეთ, მხნედ იყავით, იყავით ყოველთვის კარგად და ჯანმრთელად.

აბა თქვენ იცით, რა მარჯვედ იქნებით. გააჩაღეთ მუშაობა მაღალხარისხოვანი მოსავლისათვის, თქვენი თავდადებული შრომა საკოლმეურნეო მინდვრებზე ზურგს უმაგრებს ფრონტს, ზურგს მიმაგრებს მე და ჩემს ამხანაგებს, ჩვენ კი შეუპოვრად ვებრძვით გერმანელ ყაჩაღებს, სანამ საბოლოოდ არ გავანადგურებთ მათ. მე კარგად ვარ. ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ".

მტრისადმი მრისხანე სიძულვილით და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით არის გამსჭვალული ამხ. ყანჩაველის სხვა წერილებიც.

ვ. აბრამიძე

ვიბრძოლებთ ისე, როგორც იბრძვიან სამამულო ომის გმირები!

გმირი წითელი არმიის მებრძოლების, კერძოდ ქართველი მეომრების თავგანწირული ბრძოლა ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ დიდ გამოხმაურებას პოულობს ჩვენი ქვეყნის პატრიოტებში, აღაგზნებს მათ საზიზღარი მტრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ისინი მიისწრაფვიან უშუალო მონაწილეობა მიიღონ ჰიტლერელთა განადგურებაში, მოითხოვენ დაუყოვნებლივ ფრონტზე გაგზავნას.

ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. გ. სტურუას სახელზე უფროსმა ლეიტენანტმა ნიკიფორე ივანეს-ძე ანდრიენკომ გამოგზავნა შემდეგი წერილი:

„გთხოვთ გამიწიოთ დახმარება ფრონტზე გაგზავნაში. უდიდესი სურვილი მაქვს უშუალო მონაწილეობა მივიღო ფაშისტი ბანდიტების განადგურებაში, რომლებიც თავს დაესხნენ ჩვენს სამშობლოს, სპობენ ჩვენს მშვიდობიან საბჭოთა ადამიანებს, იკლებენ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს. პირობას გაძლევთ, რომ ულმობლად მოვსპობ ფაშისტ ბანდიტებს, ვიბრძოლებ ისე, როგორც იბრძვიან სამამულო ომის გმირები, როგორც იბრძოდა თქვენი შვილი ბორისი, ვიბრძოლებ მანამდე, სანამ მკერდში საბჭოთა ადამიანის გული მიცემს. ძალიან მრცხვენია, რომ მე, ახალგაზრდა, ფიზიკურად ჯანსაღ ადამიანს, ჯერ კიდევ ზურგში ყოფნა მიხდება. ჩემს სირცხვილს კიდევ ის აორკეცებს, რომ მამაჩემი, ძველი ბოლშევიკი, სამოქალაქო ომის მონაწილე, წითელი დროშის ორდენის მქონე, იბრძვის ფაშიზმის წინააღმდეგ, მე კი ისევ ზურგში მიხდება ყოფნა.

იძულებული ვარ დახმარებისათვის მოგმართოთ თქვენ და ვფიქრობ ჩემს თხოვნას დააკმაყოფილებთ".

ქართველ მებრძოლთა გმირობით აღფრთოვანებული ცხაკაიას რაიონის ფოცხოს თემის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ყოფ. თავმჯდომარე, ამჟამად წითელი არმიის მეზენიტე კონდრატე ყურაშვილი აგრეთვე მთელი თავისი არსებით მიილტვის ფრონტის წინა ხაზზე. „კომუნისტის" რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილში იგი სწერს:

„უკანასკნელ ხანებში გაზეთმა „კომუნისტმა" ბევრი ახალი ამბავი მომიტანა ქართველი მებრძოლების გმირულ ბრძოლებზე. თავგანწირვით ებრძვიან ჰიტლერელ ავაზაკებს უფროსი პოლიტხელი იასონ ნაჭყებია, უფროსი ბატალიონის კომისარი მიხეილ ბუკაძე, უფროსი ბატალიონის კომისარი კოტე სოხაძე, შ. მაისაია, შალამბერიძე, დემურია. ესენი ზოგი ჩემი მასწავლებელია, ზოგი — ამხანაგი. მათმა გმირულმა, თავგანწირულმა ბრძოლებმა ერთიათად გამზარდა, გამაფოლადა. წინ, ძმებო, ქართველო მებრძოლებო! რუს მებრძოლებთან ერთად ვიბრძოლოთ და გადავაქციოთ კავკასიონის ქედი ჰიტლერელი ავაზაკებისათვის სამარედ".

„მოუთმენლად ველოდები, ამხანაგებო, — სწერს დასასრულს ამხ. კ. ყურაშვილი, — ბრძოლის ხაზზე გაგზავნას. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლებ საზიზღარი მტრის წინააღმდეგ. სამშობლოსათვის, სტალინისათვის, წინ, ქართველო მებრძოლებო!".

ერთმანეთის დახმარებით მტერი უკუაქციეთ

№ წითელარმიულ გაზეთში ამხ. ხვიჩია მოგვითხრობს ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდს, რომელშიც თავი ისახელეს მთელმა რიგმა მებრძოლებმა:

„ნ დანაყოფს დავალება ჰქონდა დაეცვა ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის მნიშვნელოვანი გზა. მიუხედავად მტრის ჭარბი ძალებისა, ლეიტენანტ ებრალიძის მებრძოლებმა მედგრად იბრძოლეს. მათ მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 3 ტანკი და რამდენიმე ათეული ჰიტლერელი გაჟლიტეს.

მტერი მაინც წინ მოიწევდა, მაგრამ მსროლელმა ოცეულმა, რომელსაც მამაცი კიკნაძე მეთაურობდა, ზუსტი დამიზნებით ტანკსაწინააღმდეგო თოფების სროლა აუტეხა მოძალებულ მტერს და სამი ტანკი დაამსხვრია, ერთი კი დააზიანა. ამ ბრძოლაში თავი ისახელეს მებრძოლებმა გორგაძემ და ძაბირაძემ. მტერს დიდი ზარალი მიაყენეს აგრეთვე ამხ. განდველის ბატარიის ნაღმტყორცნელებმა. იარაღის სხვადასხვა გვარეობის შეთანხმებული და მედგარი ცეცხლის შედეგად მტერი უკუიქცა და მნიშვნელოვანი ზღუდე დასტოვა".

უილკის განცხადება

ნიუ-იორკი, 16 ოქტომბერი (საკდესი). რუზველტთან საუბრის შემდეგ უილკიმ ოფიციალური განცხადება გაუკეთა პრესის წარმომადგენლებს, რომლითაც გააცნო მათ თავისი მგზავრობის შედეგები. მგზავრობის მიზანი იყო, სთქვა უილკიმ, „ჯერ ერთი, დაგვენახვებინა ჩვენი მოკავშირეებისა და მრავალი ნეიტრალური ქვეყნისათვის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთიანობა არსებობს ომში გამარჯვების უზრუნველყოფის ჩვენი მიზნის შესახებ". გამგზავრების მეორე მიზანი, განაგრძო უილკიმ, იყო პრეზიდენტის ზოგიერთი საიდუმლო დავალების შესრულება. „მესამე მიზანი იყო შეგვეტყო, რაც შეიძლება მეტი ჩვენთვის და ამერიკელი ხალხისათვის ამ ომის შესახებ, როგორ შეიძლება მოვიგოთ იგი უფრო მალე და მოვიგოთ უეჭველად, ისე, რომ ომისშემდგომი მშვიდობიანობა მტკიცე იყოს. მე ბევრი რამ გავიგე. ზოგი რამ უკვე გაცნობეთ კაიროდან, მოსკოვიდან და ჩუნცინიდან".

დასასრულ უილკიმ განაცხადა, რომ, როგორც მან გამოარკვია, ბევრმა ამერიკელმა, მათ შორის ოფიციალურმა მოღვაწეებმაც, „უნდა უძაბონ თავიანთი კუნთები და ტვინი, სანამ ჩვენ გამარჯვების მოპოვებას შევძლებდეთ. სანამ ჩემს მუშაობას შევუდგებოდე, ყველაფერს გავაკეთებ, რასაც კი შევძლებ, პირადად [illegible] ანგარიში ჩემს თანამემამულეებს, რათა ხელი შევუწყო იმას, რომ შესრულდეს ყველა ჩვენგანის წინაშე მდგომი ახალი ამოცანა—აღვზარდოთ ჩვენი თავი იმისათვის, რომ მოვიგოთ ეს ომი და მოვიგოთ მშვიდობიანობა". უილკიმ პირობა უსდო, რომ უახლოეს ხანში თავისი მგზავრობის სრულ ანგარიშს წარუდგენს ამერიკის საზოგადოებრიობას.

პრესის წარმომადგენლებმა ბევრი კითხვა მისცეს უილკის, რომლებზედაც უილკიმ პასუხი გასცა. უილკიმ გამოსთქვა რწმენა, რომ „გერმანია ვერასოდეს ვერ დაამარცხებს სსრ კავშირს" და გადაჭრით დაადასტურა თავისი განცხადება, რომელიც მოსკოვში გაუკეთა პრესის წარმომადგენლებს და რომლითაც მოუწოდა მეორე ფრონტის გახსნისაკენ, რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში და წინადადება მისცა საზოგადოებრივ აზრს „ზეგავლენა" მოახდინოს სამხედრო ხელმძღვანელებზე ამ უკანასკნელთა მოქმედების დასაჩქარებლად. როგორც უილკიმ განაცხადა, რუზველტმა დაარწმუნა იგი მასში, რომ ზოგიერთი ამერიკული გაზეთი არასწორად იუწყებოდა თითქოს რუზველტს არ მოეწონებინოს უილკის განცხადება მეორე ფრონტის შესახებ.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოკლულია ორი გერმანელი გენერალი და უნგრეთის დივიზიის მეთაური

ჟენევა, 16 ოქტომბერი (საკდესი). ბერლინში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოკლულია გერმანიის ჯავშანსატანკო კორპუსის მეთაური გენერალი ბარონ ფონ ლანგერმან უნდ ერლენკამპი, გერმანიის ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალი იოაჰიმ შლაინიცი და უნგრეთის დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ნადი.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა რაინის ოლქზე და ჰავრზე

ლონდონი, 16 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 15 ოქტომბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ რაინის ოლქს. დაბომბვის ერთ-ერთი ობიექტი იყო, კერძოდ, კელნი. ამ ოპერაციიდან თავის ბაზებში არ დაბრუნებულა 18 ბომბდამშენი.

გუშინ დღისით ინგლისის „ბოსტონ" — ბომბდამშენები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით ორჯერ დაესხნენ თავს ჰავრის დოკებს.

გერმანელი ოკუპანტების მხეცობა ლუქსემბურგში

ლონდონი, 16 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლუქსემბურგში თითქმის ყოველდღე ქვეყნდება გერმანელების მიერ გაძევებულ პირთა სიები. თითოეულ ახალ სიაში შეტანილია 50 ოჯახი. გაძევებულთა შორის არიან იმ პირთა ქვრივები და შვილები, რომლებიც საყოველთაო გაფიცვასთან დაკავშირებით სიკვდილით დასაჯეს. გაძევებულთა ქონება და საცხოვრებელი სახლები ლუქსემბურგს ჩასულ ტიროლელ გერმანელთა ხელში გადადის. გაძევებულთა შორის არის ცნობილი პროფესორი მარგი თავისი ოჯახით.

გერმანელები ლუქსემბურგელ ქალებსა და ქალიშვილებს ძალით ჰგზავნიან სამუშაოდ გერმანიაში, სადაც ისინი საზიზღარ დაცინვას განიცდიან. ჰიტლერის მოადგილემ ლუქსემბურგში, სიმონმა, უტიფრად განაცხადა, რომ „ლუქსემბურგელი ქალიშვილებისათვის დიდი პატივია გერმანიაში იმუშაონ და იქიდან ორსულნი დაბრუნდნენ". ქალიშვილებს, რომლებიც გერმანიაში გამგზავრებას [illegible] არიდებენ, სასტიკად სჯიან.

გლეხთა აჯანყება იტალიის სამხრეთ ნაწილში

ლონდონი, 16 ოქტომბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუს ქრონიკლი" იუწყება, აპულიაში (იტალიის სამხრეთ ნაწილში) ამას წინათ გლეხთა აჯანყება მოხდა. სექტემბრის დამლევს ორთითებითა და ცელებით შეიარაღებული ათასობით გლეხი ახლომახლო სოფლებიდან ქალაქ მონტელეონეს გაემართა, სადაც მათ გაანადგურეს და დასწვეს მთავრობის ადგილობრივი დაწესებულებანი და პოლიციის ყაზარმები. ფაშისტთა ხელისუფლებამ აჯანყების რაიონში სასწრაფოდ გაგზავნა პოლიციის და ჯარების ძლიერი რაზმები. მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებანი, რის შედეგადაც ორივე მხარეზე მრავალი მოკლული და დაჭრილი არის. ფაშისტთა ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალით ჩაახშო აჯანყება და ასობით გლეხი დააპატიმრა, მათ შორის 250-მდე ქალი.

აპულიაში გლეხთა აჯანყების უშუალო მიზეზი გამოურკვეველი რჩება, მაგრამ ცნობილია, რომ მონტელეონეს რაიონი ერთ-ერთი უაღრესად ღარიბი რაიონია იტალიაში, სადაც გლეხები ნახევრად მშიერნი არიან. მთავრობის უკანასკნელი განკარგულებებით გლეხებს თითქმის მუქთად უნდა ჩაებარებინათ მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მთელი მოსავალი.

სასამართლო

სახალხო ქონების მტაცებელთა ხროვა

სადგურზე—ნავთლუღი-2 ადგილი ჰქონდა რკინიგზის ვაგონებიდან სახალხო ქონების გატაცების რამდენიმე შემთხვევას. ერთხელ დაიკარგა სამი შეკვრა დიაგონალის ქსოვილი, მეორედ—ნარმა, შემდეგ რკინიგზელთა ფორმის პალტოები და ა. შ. საკვლევაძიებო ორგანოებმა მალე მიაგნეს ბოროტმოქმედთა კვალს. ისინი აღმოჩნდნენ ვლადიმერ ივანეს-ძე გაჩეჩილაძე, კარლო პლატონის-ძე ხიდიშელი, ტიტე გაიოზის-ძე ჯიბლაძე, დავით ნიკოლოზის-ძე ჩრიკიშვილი და სხვები, სულ 13 კაცი. მალე ყველა ეს ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს და სამართალში მისცეს.

15 ოქტომბერს, ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ტრიბუნალის გასვლელმა სესიამ დაიწყო სახალხო ქონების მტაცებელთა ამ ხროვის გასამართლება. სასამართლო სხდომებს თავმჯდომარეობს ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამხედრო ტრიბუნალის წევრი, მესამე რანგის სამხედრო იურისტი ამხ. ი. გიორგაძე. ბრალდებას იცავს ა.-კ რკინიგზის პროკურორის თანაშემწე, მესამე რანგის სამხედრო იურისტი ამხ. ნ. პროსტოსერდოვი.

გ. ა. აბაშიძის გარდაცვალება

15 ოქტომბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობი გიორგი არჩილის-ძე აბაშიძე. ხელოვნების საქმეთა სამმართველომ გამოჰყო დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ბ. კანდელაკი (თავმჯდომარე), ა. თაყაიშვილი, გ. თევდორაძე, ნ. გვარამაძე, მ. რუსლანოვი, ს. კაპანაკიანი, გ. მიქელაძე.

17 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაზე — ორჯონიკიძის მეორე ჩიხი № 7, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. დაკრძალვა მოხდება, კვირას 18 ოქტომბერს, დღის 1 საათსა და 30 წუთზე, ვერის ძველ სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან

თეატრებში

18 ოქტომბერს: ხაზპერა — დღისით — „ქეთო და კოტე", საღამოს — „ჩიო-ჩიო-სან". რუსთაველის სახელობის — დღისით — „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი", საღამოს — „ოტელო". მარჯანიშვილის სახელობის — დღისით — „ინჟინერი სერგეევი", საღამოს — „ხანუმა". გრიბოედოვის სახელობის — დღისით და საღამოს — „მაშენკა". სომხური თეატრი — დღისით — „კინტო", საღამოს — „აღმოსავლეთის დანტისტი". აზერბაიჯანის სახელობის — დღისით — „ლეილი და მაჯნუნი", საღამოს — „ჰაჯი ყარა". მუსიკალური კომედიის — დღისით და საღამოს „არშინ-მალ-ალან". ხანკულტურის — „სტუმარ-მასპინძლობა". მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — დღისით — „შურისძიება", საღამოს — „რომეო და ჯულიეტა". რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი — სსრკ სახალხო არტისტ ბიულ-ბიულის გასტროლები. სახკონსერვატორიის დიდი დარბაზი — ქართული ჯაზი. საქ. ფილარმონიის საზაფხულო ბაღი — დახურულ თეატრში — ესტრადის დიდი საღამო.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3304606, გაცემული პელაგია ირაკლის-ასულ შარუხიას სახელზე, და საქ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 3096386, გაცემული ნინო იოსების-ასულ ვაჩეიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი და სპარტაკი — „ალექსანდრე პარხომენკო", დამკვრელი — „მე მიყვარს", კომკავშირელი და კომინტერნი — „ლენინგრადი ბრძოლაში". ლუქსემბურგის სახ. — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს". 26 კომ. სახ. — „დობილები".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საუბარი კაპიტან-ლეიტენანტ გურამიშვილთან

გაზეთი „იზვესტია" 7 ოქტომბრის ნომერში ათავსებს ვ. კავერინის ნარკვევს სათაურით „ტიციანი". ჩრდილოეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ვ. კავერინმა გაიცნო კაპიტან-ლეიტენანტი გურამიშვილი. ერთ-ერთი მეგობრული საუბრის დროს კავერინმა გამოსთქვა აზრი, რომ ადამიანები, რომლებიც იბრძვიან იარაღით ხელში და ყოველდღე, ყოველ საათს პირისპირ ხვდებიან სიკვდილს, ალბათ, არ ფიქრობენ მომავალზე. ამისათვის მათ არც დრო აქვთ და არც ხალისი.

კაპიტან-ლეიტენანტი გურამიშვილი არ დაეთანხმა მას და საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად უამბო შემდეგი:

1942 წლის გაზაფხულზე რაზმი, რომელსაც ამხ. გურამიშვილი მეთაურობდა, იცავდა ძველ პატარა ქალაქ პ-ს. ამ ქალაქის ერთ-ერთ ვიწრო ქუჩაზე გადიოდა ფრონტის ხაზი. ერთ დილას მასთან მოიყვანეს პატარა ტანის მოხუცი. ჰალარა, წვერგაუპარსავი, ძველებური ქუდით თავზე. მან აუხსნა გურამიშვილს, რომ იგი ადგილობრივი მუზეუმის გამგეა. გვარად პერჩიხინი.

— მუზეუმში,—სთქვა პერჩიხინმა, — ხელოვნების ბევრი ძვირფასი ნაწარმოები დარჩა მაგრამ მათ შორის არის უბადლო შედევრი, რომელიც უნდა გადავარჩინოთ. რადგან ისტორია არ გვაპატიებს, თუ იგი ბარბაროს გერმანელებს ჩაუვარდა ხელში

გამოირკვა, რომ ეს შედევრი იყო დიდი ვენეციელი მხატვრის ტიციანის დახატული სურათი. 1918 წელს, როდესაც შეშინებული ბურჟუები გაიქცნენ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მათ აკავებდნენ საზღვარზე და მათთვის ჩამორთმეულ ძვირფას ნივთებს აძლევდნენ ქალაქის მუზეუმს.

მუზეუმი დარჩენილი იყო ფრონტის ხაზის იქით. გურამიშვილმა გაგზავნა ლეიტენანტი სურათის გადასარჩენად და პერჩიხინიც თან გააყოლა. დილით ლეიტენანტი მარტო დაბრუნდა და სურათიც თან მოიტანა. პერჩიხინი გერმანელების ტყვიამ გამოასალმა სიცოცხლეს.

სურათი განსაცვიფრებელი იყო. „ბაღში აყვავებული ვაშლის ხეების ქვეშ გაშლილი იყო დიდი სუფრები, რომლებზედაც ეწყო ხორცის, კარაქის, პურის და შემწვარი ფრინველის გროვები. გლეხები და გლეხის ქალები, სადღესასწაულო ფერად ტანისამოსში გამოწყობილნი, ფერხულს აბამდნენ და ცეკვავდნენ. გაფრენიანებულნი და ჯანსაღნი. ერთ მხარეს ღვინის კასრთან იდგა ტიტჩქმიერიანი ჯარისკაცი, სვამდა ღვინოს და ჯადვრილი წითელი სითხე ესხმებოდა მის ტყავის მუნდირს. ხეებზე ფარნები ეკიდა. ეს იყო სოფლის ნადიმი, გაზაფხულის დღესასწაული, საცხოვ სანახაობა, რომლის დანახვა ადამიანს მაშინვე დარდს გაუქარვებდა მოგვენატრებოდა ამ ხალხში ჩარევა, მათთან ერთად ცეკვა. კასრიდან ღვინის დალევა. პურის ჭამა და ხახვის შეტანება".

„მაისის დამლევს გურამიშვილის ნაწილს მოუხდა პ-დან წასვლა. საჭირო იყო ჩვენი ნაწილებისაკენ ჭაობებით, ულრანი ტყეებით გამოღწევა. მათ ბრძოლებით ათასზე მეტი კილომეტრი გამოიარეს. პური არ ჰქონდათ, სჭამდნენ კოცონებზე შებოლილ, ხან კი სულაც უმ ცხენის ხორცს. გარშემო გაუვალი ტყე იყო.

სანამ ცხენები ჰყავდათ, ტიციანის სურათს უნაგირზე დააკრავდნენ ხოლმე. ცხენები რომ შეჭამეს, ხელით ტარება მოუხდათ. რამდენჯერ დააპირეს მებრძოლებმა ამ დიდი, მძიმე ტილოს გადაგდება".

ერთხელ ლეიტენანტმა ნორკინმა გაშალა ეს ტილო და წითელფლოტელებს აჩვენა. რაზმი უბრალო ბიჭებისაგან შესდგებოდა. მათ არც გაეგონათ ტიციანის შესახებ და იმ დღეებში ხელოვნება ვიღას ახსოვდა. მაგრამ თითქოს შუქი მოეფინა მკაცრ გამხდარ სახეებს. ყველაფერი დაავიწყდათ—შიმშილი, ჭუჭყი, დაღლილობა, საფრთხე. მათ წინ იყო სიცოცხლე მისი ჯანღონითა და ბედნიერებით, რომლითაც აღსავსენი იყვნენ ეს ბედნიერი მოცეკვავე ადამიანები.

ყველას ერთმა აზრმა გაუელვა—„ჩვენ კიდევ მივაღწევთ იმას, რომ ვსვათ ღვინო და ვიცეკვოთ ვაშლის ხეებქვეშ. საბრძოლო მანქანებით ჩვენ გავივლით მოსკოვის ქუჩებში და ქალიშვილები, მხატვარს რომ დაეხატავს, იმაზე უკეთესი ქალიშვილები, შეგვხვდებიან ყვავილებით. ტყვიებით გახვრეტილი დროშებით ჩვენ მივცემთ სარდალს უკანასკნელ პატაკს—ომი დამთავრდა, ჩვენ გავიმარჯვეთ!".

ამ აზრმა მომავლის შესახებ, როგორც საბრძოლო ბრძანებამ, გაუელვა ყველას.

მძიმე დრო იყო. გერმანელები ჰოსდევდნენ ნაწილს, რამდენჯერმე სცადეს მისი რკალში მოქცევა. ნაწილს ჯერ არა ჰქონდა კავშირი პარტიზანებთან და ამიტომ შიმშილობდა. რაზმში დაჭრილებიც იყვნენ. მათი ტარება ძალიან ძნელი იყო, მაგრამ უკვე ფიქრადაც აღარავის მოსვლია დიდი, მძიმე, სატარებლად უხერხული ტილოს გადაგდება. ღამეობით ტიციანს გუშაგს უყენებდნენ.

ერთხელ მდინარე დვინაზე გადასვლის დროს კინაღამ დაეკარგათ სურათი. წითელფლოტელი, რომელსაც ტიციანი ებარა, მოჰკლეს. რაზმი გადავიდა მეორე ნაპირზე, სურათი კი გაღმა დარჩა. გურამიშვილმა გამოიძახა მოხალისეები და სამი მებრძოლი ლეიტენანტ ნორკინის მეთაურობით დაბრუნდა სურათის გადასარჩენად.

მათ იცოდნენ, რომ საშინელი საფრთხე ელოდათ, მაგრამ ვინ დაუტოვებდა ფაშისტებს ამ მშვენიერ სურათს, რომელიც ჩვენი მომავლის გამომხატველი იყო? არასოდეს!

ორი საათის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ. მათ ნამდვილი ბრძოლა გადახდათ გერმანელებთან. სურათი თან მოიტანეს. ტყვია მოხვედროდა დახატული ჯარისკაცის ხელს. მაგრამ ამით არაფერი უჭირდა. მისი რესტავრაცია ყოველთვის შეიძლებოდა.

გურამიშვილმა და მისმა რაზმმა სურათი ჩამოიტანეს მოსკოვში. როდესაც სურათს მუზეუმის მუშაკებს აბარებდნენ, მოხუცმა, მუზეუმის ძველმა მუშაკმა თვალებში ცრემლებმორეულმა უთხრა გურამიშვილს:

— კაპიტანო, თქვენ დიდი საქმე გააკეთეთ.

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის კოლექტივი იუწყება ამავე თეატრის მსახიობის

გიორგი არჩილის-ძე აბაშიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17/X, 7 ს. გამოსვენება 18/X, 1½ ს. (დღისით). ორჯონიკიძის მეორე ჩიხი № 7, დაკრძალვა ვერის ძველ სასაფლაოზე.

საქ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის კოლექტივი იუწყება მედიცინის დოქტორის მოსე ანთიმოსის-ძე კალანდარიშვილის მეუღლის

სოფიო დავითის-ასულ კალანდარიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 17/X, 5½ ს. ლენინის ქ. № 3, დაკრძალვა ვერის ძველ სასაფლაოზე. 1321

თბილისის რკინიგზის მე-8 საშუალო სკოლის პედპერსონალი და ტექნიკური თანამშრომლები იუწყებიან

ვიქტორ ამბაკოს-ძე კუტალაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/X, გამოსვენება ჩახრუხაძის ქ. № 20. 1319

თბილისის ბერიას სახელობის რაიფინგანის თანამშრომლები იუწყებიან კალმახელიძის უახლოესი ნათესავის

დომნა კონსტანტინეს-ასულ ვახტანგაძე-კალმახელიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17/X, 6 ს. ვეძინის ქ. № 9, დაკრძალვა 18/X, 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. 1320

№ ჰოსპიტლის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 18/X, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ირაკლი კერესელიძის დედის

ეფროსინე ნიკოლოზის-ასულ კერესელიძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 1322

სამტრესტის ღვინის მეორე ქარხნის კოლექტივი იუწყება ამავე ქარხნის თანამშრომლის თამარ აბაშიძის მეუღლის

გოგი არჩილის-ძე აბაშიძის

გარდაცვალებას. 1318

მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იუწყება, რომ 18/X, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია მთ. ინჟინერის თამარ პიტნავას მამის

დავით ლევანის-ძე პიტნავას

სამოქ. პანაშვიდი. 1313

საქ. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება ანდრია ნიკოლოზის-ძე ორლოვის დედის

ევგენია ივანეს-ასულ ორლოვას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17/X, ქ. ქუთაისში. 1314

არტელ „ინფოტოს" თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება, რომ 18/X 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ტრიფონ გადელიას მეუღლის

ანიჩკა იოსების-ასულ გადელიას

სამოქ. პანაშვიდი. 1315

თბილისის ქალაქის რკინიგზის სადგურის კოლექტივი იუწყება, რომ 18/X, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია თამარ ბაქრაძის მამის

მელიტონ ილიას-ძე ბაქრაძის

სამოქ. პანაშვიდი. 1316

თბილისის ავრო-ბიოსადგურის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან თანამშრომლების გიორგი გალდავას და ნიკიტა ანწკირკელის რძლის

მარუსა გალდავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/X. სოფ. ლანირში (სამტრედიის რ.). 1317

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

შე 11011